

The present paper aims to interpret the proverb – a formula modeled as a certain concept in a given mentality. On the basis of study of Arabic Syriandialect (with Georgian parallels) material, it is identified how, by what general and at the same time specific means, characteristic of each, the given stereotyped wisdom is created. Conclusions also cover the general theoretical aspect of the problem.

On the basis of the analysis of the examples it becomes clear that a proverb comes into being by the simultaneous operation of all the components involved in its creation. Each of them is equally important. The objective reality reflected in them are usually constructed on specific syntagmatic relations sometimes on the surface level (obviously) and on the deep level (non-obviously) as well. Accordingly they cannot be regarded as mutually independent objects and phenomena, as they are a whole system of regularities being in a certain conceptual connection by means of logical relations.

Accordingly, it is possible to understand a proverb only by gaining deep insight into these connections, understanding the regularities found in the historical reality of the given ethnos and by studying the conceptual thinking recorded within the existing mentality.

All Arabic examples are recorded and translated from Arabic primary source – directly from Syrian, Lebanese, informants.

ქეთევან კაკიტელაშვილი

ებრაული იდენტობა საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის პეიჯებზე

ნაშრომი მიზნად ისახავს ებრაული იდენტობის კონსტრუირების გაანალიზებას საბჭოთა პერიოდის საქართველოში 1920-1930-იან წლებში. 1920-იან წლების დასაწყისში კორენიზაცია-ნაცივიზაციის საბჭოთა პოლიტიკა შეცვალა ინტერნაციონალიზმის ახალმა იდეოლოგიამ, რომლის მიზანი ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირება იყო. 1920-იანი წლების დასაწყისში ებრაული იდენტობის გაძლიერებისკენ მიმართული მოძრაობა თანდათან მინელდა. 1920-იანი წლების ბოლოსა და 1930-იანი წლების დასაწყისისათვის ებრაული იდენტობის ფორმირების პროცესში ახალი მიმართულება იჩინეს თავს, რომელიც საბჭოთა ებრაელის ფორმირებისაკენ იყო მიმარ-

თული. ეს იდეა ნათლად არის ასახული 1931 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ „აქ დაიბადა ახალი ადამიანი: ებრაელი მუშა, ებრაელი გლეხი“. საბჭოთა საქართველოში შეიქმნა რამდენიმე ებრაული ორგანიზაცია, ასევე ებრაული კოლმეურნეობები. ახალი კოლმეურნეობების ასაშენებლად შერჩეული იყო არა ტრადიციული ებრაული დასახლებები, არამედ სხვა, ახალი ტერიტორიები, სადაც ხდებოდა ებრაელთა გადასახლება და მათი სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმება. ახალი პოლიტიკის მიზანი ებრაელთა ცხოვრებაში „ახალი ეპოქის“ დასაწყისად მიიჩნეოდა. ეს გულისხმობდა ებრაელთა „კულტურული ჩამორჩენილობის“ დაძლევას, ტრადიციული ცხოვრების წესის რადიკალურ ცვლილებას. ეს ცვლილება ორი გზით უნდა განხორციელებულიყო: პირველი იყო ებრაელების გამიჯვნა, ერთი მხრივ, სინაგოგებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ – ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობისაგან. ვაჭრობა, რომელიც ტრადიციულად ებრაელთა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა, საბჭოთა იდეოლოგიის თანახმად, არალეგალური იყო და რეაქციულ ხასიათს ატარებდა.

Ketevan Kakitlashvili

JEWISH IDENTITY IN GEORGIA AFTER THE SOVIET OCCUPATION

The paper aims to analyze the construction of Jewish identity in Georgia in the first decades after sovietization. From the end of the 1920s, the Soviet policy of the indigenization was replaced by the new ideology of internationalism – creation of the unified Soviet people. Consequently, the revival of Jewish national identity in the first half of the 1920s gradually weakened. Main line which became apparent in the periodicals by the end of the 1920s and beginning of the 1930s is the formation of the new Soviet Jewish identity. This idea is expressed in a clear way in the following phrase from one of the articles published in the governmental newspaper “Komunisti” (“Communist”) in 1931: “there is born a new man: the Jewish worker, the Jewish peasant”. In Soviet Georgia several organizations were formed aiming to establish Jewish kolkhozes – collective farms. The new kolkhozes were built in the places different from the traditional Jewish villages/towns. The Jews were immigrated to those

new places where they had to start farming. Naturally, there were no synagogues in the new settlements. The main aim of the policy was to form a “new epoch” in the history of the Georgian Jewry. This meant to overcome the “cultural backwardness” of the Jews, to change in a radical way the traditional Jewish lifestyle. It should have been implemented in two ways: the first was to detach the Jews from synagogues and secondly, to change their economic activity – trade – which according to the Soviet ideology was illegal and bore a “reactionist” character. New perspectives of the Jewish life in Georgia were expressed not only in newspapers which were the main tool of Soviet propaganda, but in literary works as well.

ხათუნა კალანდარიშვილი

ისტორიული თემატიკის ერთი ასპექტი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობის უმთავრეს მიზანს ერის ინტერესების დაცვა წარმოადგენდა. ერთი მძლავრი იარაღი ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე იყო პუბლიცისტიკა. სწორედ პუბლიცისტური წერილებით გაშალა ილია ჭავჭავაძემ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა თავისი „ივერიის“ ფურცლებზე; პუბლიცისტური წერილების საშუალებით იღვწოდა ქართველი მკითხველის, ქართველი საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალური აღზრდისა და მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ამიტომაცაა, რომ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები, ჩვეულებრივ, უკავშირდება ისეთ პრობლემებს, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის.

ამ თვალთახედვითაა საინტერესო ილია ჭავჭავაძის ის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ პირებს ეძღვნება. მომავლის პერსპექტივის თვალსაზრისით, დიდ მოღვაწეს გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნია იმის გააზრება, თუ რანი ვართ დღეს, რანი ვიყავით წარსულში და რამ მოგვიყვანა დღემდე, რა ნიადაგს ემყარებოდა ჩვენი, როგორც ერის, სასიცოცხლო ძალები და, მიუხედავად მრავალი უმძიმესი, საბედისწერო ფურცლისა ისტორიაში, რამ შეგვინარჩუნა ფიზიკური არსებობა და ეროვნული სახე. ამისთვის საჭიროა ისტორიის ცოდნა, რადგან „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა“ (ი.ჭავჭავაძე).